



საპარლამენტო განათლების
მეცნიერების, კულტურისა
და სპორტის სამინისტრო

*განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიის (2017-2021წწ)
პროფესიული განათლების 2019 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების
ანგარიში*

2020

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო



სარჩევი

შესავალი	2
სტრატეგიული ამოცანა 1: პროფესიული განათლების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა და სისტემის ინტერნაციონალიზაცია.....	5
სტრატეგიული ამოცანა 2: მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის პრინციპზე დაფუძნებული პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	15
სტრატეგიული ამოცანა 3: პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და მიმზიდველობის გაზრდა.....	22
რისკები და მათი გადაჭრის გზები	25
დასკვნა და რეკომენდაციები	26

შესავალი

2017 წელს მომზადდა განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია (2017-2021წწ), რომელიც ეფუძნება განათლებისა და მეცნიერების სფეროში განხორციელებული რეფორმების მიღწევებისა და გამოწვევების ანალიზს. სტრატეგია მოიცავს სისტემის ყველა მიმართულებას: ბავშვთა ადრეული/სკოლამდელი აღზრდა და განათლება, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლება, ზრდასრულთა განათლება, მეცნიერება და კვლევები. სტრატეგია დამტკიცებულია საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ (ბრძანება #533 07.12.2017) და ხორციელდება შესაბამისი სამოქმედო გეგმის საფუძველზე.

განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია სრულად ითვალისწინებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებითა და შესაბამისი დანართებით გათვალისწინებულ საკითხებს განათლების, გადამზადებისა და ახალგაზრდობის, მეცნიერების, კვლევისა და ტექნოლოგიური განვითარების სფეროებში. იგი, ასევე, შეესაბამება ბოლონიის პროცესის მოთხოვნებს, ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს რეკომენდაციებს მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის მიმართულებით, ასევე გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ფარგლებში შეთანხმებულ აქტივობებს, რომელთა შესრულების ვალდებულებაც საქართველომ იკისრა. დოკუმენტი ეყრდნობა და შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის პრიორიტეტებთან.

სტრატეგიის საერთო მიზანია მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის პრინციპზე დაფუძნებული, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარება, რომელიც ქვეყნის ყველა მოქალაქეს უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის მდგრადი შედეგების მიღწევის შესაძლებლობით.

სტრატეგიის ერთ-ერთ სპეციფიკურ მიზნად განსაზღვრულია ქვეყნის სოციო-ეკონომიკური განვითარების მხარდასაჭერად პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გაზრდა, მათი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა პროფესიული და ზოგადი უნარების განვითარების გზით. ამ მიზნის მისაღწევად დასახულია სამი სტრატეგიული ამოცანა:

1. პროფესიული განათლების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა და სისტემის ინტერნაციონალიზაცია;
2. მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის პრინციპზე დაფუძნებული პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
3. პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და მიმზიდველობის გაზრდა.

სტრატეგიის ფარგლებში განსაზღვრული სამივე სტრატეგიული ამოცანის მიმართულებით 2019 წელს მნიშვნელოვანი პროგრესი დაფიქსირდა:

ზრდასრული მოსახლეობის უნარების განახლებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, მოხდა **ზრდასრულთა განათლების სისტემის განვითარება ფორმალური განათლების კრილში** - მოკლევადიანი პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების გავლის შემდეგ გიაცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი. მოკლევადიანი პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვება შეუძლიათ კერძო კომპანიებსაც. ასევე, შემუშავდა და დამტკიცდა **არაფორმალური განათლების აღიარების** მარეგულირებელი დოკუმენტები.



დასრულდა მოსამზადებელი სამუშაოები პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრაციისათვის. გაგრძელდა მუშაობა დუალური განათლების მიდგომისა და კერძო და საჯარო პარტნიორობის მოდელის დანერგვის ხელშეწყობის მიმართულებით. გაიზარდა დუალური ანუ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომით დანერგილი პროგრამების რაოდენობა. შემუშავდა ხარისხის უზრუნველყოფის ახალი მექანიზმები, რომლებიც შესაბამისობაშია ევროპული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან. ავტორიზაციის განახლებული სტანდარტების ამოქმედებისათვის, საგანმანათლებლო დაწესებულებებში განხორციელდა მოსამზადებელი სამუშაოები. დამტკიცა და ამოქმედდა ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო და სწავლის სფეროების კლასიფიკატორი, რაც ხელს შეუწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის კვალიფიკაციათა სისტემის განვითარებას. 2019 წელს პროფესიული განათლების სისტემა სრულად გადავიდა მოდულურ სწავლებაზე - სისტემაში დანერგილი ყველა პროგრამა არის დამსაქმებელთა მონაწილეობით შემუშავებული და მოიცავს მეწარმეობის მოდულს, როგორც სავალდებულო კომპონენტს.

პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების ახალი მოდელის ჩამოყალიბების მიზნით, მსოფლიო ბანკის დახმარებით, დაიწყო ახალი პროგრამა, რომლის ფინანსური უზრუნველყოფა GGF-ის მიერ ხორციელდება.

განხორციელდა ცვლილებები პროფესიული განათლების დაფინანსებაში - ვაუჩერულ დაფინანსებაში ჩაერთვნენ პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებები პრიორიტეტული დარგების ფარგლებში; საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსების ოდენობა, რომელიც მათ შესაძლებლობას აძლევს გაზარდონ პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივი ანაზღაურება 30%-ით. GGF-ის მხარდაჭერით დაიწყო ახალი პროექტი, რომლის მიზანია პროფესიული განათლების დაფინანსების ახალი მოდელის შემუშავება.

ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში კოლეჯები აღიჭურვა თანამედრევე ინვენტარითა და აღჭურვილობით, რაც აუცილებელია ახალი ტიპის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სწავლებისათვის; საკვალიფიკაციო პროგრამებზე სტუდენტები პირველად მიიღო ხულოს ფილიალმა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტში მდებარე სამშენებლო მიმართულების კოლეჯმა. გაგრძელდა ახალი კოლეჯის მშენებლობა კასპში, შუახევში და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში. ასევე, მოსამზადებელი სამუშაოები დაიწყო დამატებითი ლოკაციების განვითარებისთვის.

სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების პროგრამის ფარგლებში 2019 წელს გაღრმავდა ურთიერთობა ზოგად და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის და გაიზარდა იმ მოსწავლეების რაოდენობა, რომლებმაც სკოლის ბაზაზე პირველი ნაბიჯები გადადგეს პროფესიულ განათლებაში. სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების პროგრამის ფარგლებში საორიენტაციო და სასერტიფიკატო კურსებში ჩართვით 9.000-ზე მეტმა მოსწავლემ შეძლო სხვადასხვა პროფესიაში საკუთარი ძალების მოსინჯვა.



აღსანიშნავია, რომ 2018 წელს პროფესიული განათლების მიმართულებით **სახელმწიფო ბიუჯეტის** ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 43 მილიონი ლარი. ხოლო 2019 წელს 50.9 მილიონი ლარი.

სისტემაში ახალი საგანმანათლებლო დაწესებულებების, ახალი შესაძლებლობების გაჩენისა და რეფორმის მასშტაბის ზრდის პარალელურად, მზარდია სახელმწიფო ბიუჯეტიც. პროფესიული განათლების მიმართულებით 2020 წლის ბიუჯეტის განსაზღვრის პროცესში მხედველობაში იქნა მიღებული 2020 წლისთვის დაგეგმილი ყველა აქტივობისათვის აუცილებელი რესურსი, მათ შორის „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებები. 2020 წლის ბიუჯეტი 2019 წლის ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია და შეადგენს 70.7 მილიონ ლარს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს **საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების როლი** პროფესიული განათლების რეფორმის მიმდინარეობისას. აღსანიშნავია, რომ პროფესიული განათლების შესახებ ახალი კანონის დანერგვის პროცესში 2019 წელს კიდევ უფრო გაიზარდა საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა. სამინისტროს ორგანიზებით წლის განმავლობაში იმართებოდა დონორთა საკოორდინაციო შეხვედრები და არსებული გამოწვევებისა თუ მიღწეული შედეგების განხილვა. გაწეული დახმარებისა და მხარდაჭერისათვის სამინისტრო მადლობას უხდის ევროკავშირის საქართველოს წარმომადგენლობას, გერმანიის მთავრობას, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას (GIZ), გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (KfW), შვეიცარიის განვითარების სააგენტოს (SDC), გაეროს განვითარების პროგრამას (UNDP), ბრიტანეთის კარგი მმართველობის ფონდს (GGF), მსოფლიო ბანკს (WB), ბრიტანეთის საბჭოს (British Council) ევროპული განათლების ფონდს (ETF), ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციას (MCC), ათასწლეულის გამოწვევის ფონდს (MCA) და ყველა არსამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც სხვადასხვა ფორმითაა ჩართული პროფესიული განათლების სისტემის განვითარებაში. ასევე, აღსანიშნავია, რომ 2019 წელს დაიწყო მოლაპარაკებები აზიის განვითარების ბანკთან (ADB) სასესხო შეთანხმების შესახებ, რომლის მხარდაჭერითაც დაიგეგმა მასშტაბური პროექტი პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიმართულებით.. პროექტი, ასევე გაითვალისწინებს ტექნიკური დახმარების კომპონენტსაც.



სტრატეგიული ამოცანა 1: პროფესიული განათლების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა და სისტემის ინტერნაციონალიზაცია

სტრატეგია ხაზს უსვამს სოციალური პარტნიორობის, როგორც თანასწორი მხარეების ჩართულობის მნიშვნელობას პროფესიული განათლების პოლიტიკის ჩამოყალიბების, განხორციელებისა და შეფასების პროცესში და აქცენტს აკეთებს სოციალური პარტნიორობის გაძლიერებაზე პროფესიული განათლების სისტემის ფორმირების ყველა დონეზე.

ამასთან, სტრატეგიის მიხედვით, ინტერნაციონალიზაციის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან თავსებადი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დანერგვა, გაცვლითი პროგრამების ორგანიზება და საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატების გაცემის უზრუნველყოფაა. სტრატეგიაში ასევე აქცენტირებულია კვალიფიკაციების ფორმირებისას საერთაშორისო გამოცდილებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება, რათა სტუდენტმა შეძლოს კომპლექსური, პიროვნული და პროფესიული უნარების განვითარება. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია მოქნილი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვით, სტუდენტისათვის პროფესიული და ზოგადი უნარების განვითარებით, სამეწარმეო განათლების ხელშეწყობით, ტექნოლოგიური მიღწევების გამოყენებით, ინოვაციური სწავლების მეთოდებით და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით.

სტრატეგიაში არსებულ გამოწვევებს შორის ხაზგასმულია პროფესიული განათლების ხარისხი და აღნიშნულია, რომ საქართველოს ხარისხის უზრუნველყოფის მიდგომა უფრო მეტად უნდა დაუახლოვდეს ევროპულ გამოცდილებას.

ამოცანა 1.1 საჯარო-კერძო პარტნიორობის გაძლიერება

პროფესიული განათლების მიმდინარე რეფორმის ფარგლებში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა სისტემაში საჯარო-კერძო პარტნიორობის გაძლიერებისა და კერძო სექტორის როლის გაზრდის მიზნით. 2019 წელს, სისტემაში გაჩნდა კერძო სექტორის მონაწილეობის ახალი მექანიზმები - დაიწყო სამუშაოები კოლეჯების მართვის აუტოსორსის მიმართულებით, პირველად განხორციელდა საჯარო-კერძო პარტნიორობის ფარგლებში პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამები (მოკლევადიანი სასერტიფიკატო კურსები ფორმალური განათლების ფარგლებში), ამასთან გაძლიერდა საჯარო-კერძო პარტნიორობის ის მიმართულებები, რომლებიც უკვე არსებობდა სისტემაში - საჯარო-კერძო პარტნიორობის ფარგლებში დაფუძნებული კოლეჯების განვითარების ხელშეწყობა და სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების/დუალური პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა:

(1) 2016 წლიდან დაიწყო **დუალური საგანმანათლებლო პროგრამების** დანერგვა, რამაც საგრძნობლად გაზარდა კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და თვითდასაქმების შესაძლებლობები. აღსანიშნავია, რომ განხორციელებული ინტერვენციების შედეგად წლიდან წლამდე მზარდია დანერგილი დუალური პროგრამების და ამ პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა - 2019 წლის მდგომარეობით სისტემაში ხორციელდება 30 დასახელების დუალური პროგრამა. დუალურ პროგრამებზე 2016-2019 წლებში ჩაირიცხა 600-ზე მეტი სტუდენტი. 2019 წლისთვის, დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დაასრულა 30-ზე მეტმა სტუდენტმა. აღსანიშნავია, რომ პროგრამების კურსდამთავრებულთა ძირითადი ნაწილი დასაქმდა იმავე კომპანიებში, რომლებთან პარტნიორობითაც ხორციელდებოდა დუალური პროგრამა.

საგულისხმოა, რომ 2019 წლის საშემოდგომო მიღების ფარგლებში, აპლიკანტებს პირველად მიეცათ შესაძლებლობა დუალურ პროგრამებზე ჩარიცხულიყვნენ პროფესიული ტესტირების გარეშე, მხოლოდ პარტნიორ, კერძო კომპანიასთან წარმატებით გავლილი გასაუბრების (კონკურსის) საფუძველზე. ამასთან, საშემოდგომო მიღების ფარგლებშივე, სტუდენტები პირველად ჩარიცხნენ საინფორმაციო ტექნოლოგიების და პორტის ლოგისტიკის მენეჯმენტის დუალურ პროგრამებზე.

დუალური სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით მიმდინარეობს მუშაობა სასწავლო საწარმოს სტატუსის მოპოვების კრიტერიუმებსა და პროცედურებზე. შესაბამის რეგულაციებზე მუშაობის პროცესი მხარდაჭერილია UNDP-ისა და GIZ-ის მიერ. მარეგულირებელი ნორმების დამსაქმებლებთან და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან შეთანხმების შემდეგ, 2020 წლის პირველ კვარტალში დასრულდება რეგულაციაზე მუშაობა, დაიწყება მისი დამტკიცების პროცედურა და დანერგვისათვის საჭირო სამუშაოები.

(2) 2019 წლიდან მოკლევადიანი პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამები ფორმალური განათლების ნაწილი გახდა. აღსანიშნავია, რომ მოკლევადიანი კურსების განხორციელების უფლების მოპოვება შეუძლია ნებისმიერ იურიდიულ პირს (საგანმანათლებლო დაწესებულება, კერძო კომპანია, სატრენინგო ცენტრი, ასოციაცია და სხვა) დამოუკიდებლად ან სხვა დაწესებულებასთან თანამშრომლობით, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამის სტანდარტს. 2019 წლის დეკემბრის მდგომარეობით პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლება მოიპოვა ორმა კერძო კომპანიამ, ხოლო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პარტნიორობით ზემოხსენებული პროგრამების განხორციელების პროცესში ჩაერთო 50-ზე მეტი კერძო კომპანია.

(3) პროფესიული განათლების რეფორმის ფარგლებში აქტიურად მიმდინარეობს **საჯარო-კერძო პარტნიორობის ფარგლებში საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარების პროცესი**. ამ ეტაპზე ფუნქციონირებს აღნიშნულ ფორმატში დაფუძნებული 3 საგანმანათლებლო დაწესებულება (სამინისტროს მიერ მხარდაჭერილია აღნიშნული კოლეჯების ხარისხიანი სასწავლო გარემოს შექმნა და შემდგომი განვითარება მიზნობრივი პროგრამული დაფინანსების ფარგლებში) და 1 ტრენინგ-ცენტრი. აღსანიშნავია, რომ ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯი „კონსტრუქტ2“, რომელიც სამშენებლო კომპანია M2-თან თანამშრომლობით დაფუძნდა, 2019 წელს ევროკომისიის მიერ ორგანიზებულ, აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნების პროფესიული განათლების მე-19 საერთაშორისო კონფერენციაზე წარადგინეს, როგორც საჯარო-კერძო პარტნიორობის წარმატებული მაგალითი.

2019 წელს, კერძო კომპანიის ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა კიდევ ერთ პროექტს საჯარო-კერძო პარტნიორობის ფარგლებში, რომელიც გულისხმობს ზუგდიდში ტურიზმის სექტორში ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნებას.

(4) საჯარო-კერძო პარტნიორობის გაძლიერების მიზნით GGF-ის მხარდაჭერით დაიწყო მუშაობა დაწესებულების **მართვის აუტოსორსის** მოდელის შემუშავებაზე.

(5) 2019 წლისთვის სისტემაში დანერგილი ყველა პროგრამა არის **მოდულური**, აღნიშნული პროგრამები ეყრდნობა იმ ჩარჩო დოკუმენტებსა და საგანმანათლებლო სტანდარტებს, რომელთა ჩამოყალიბებაც განხორციელდა დამსაქმებელთა უშუალო მონაწილეობით. წლიდან წლამდე იზრდება სისტემაში სხვადასხვა დარგობრივი ასოციაციის როლი, განსაკუთრებით აღსანიშნავია ფერმერთა ასოციაციისა და მეღვინეობის ასოციაციის როლი, რომელთაც სრულად აქვთ აღებული ამ მიმართულებებით დუალური პროგრამების დანერგვის კოორდინაცია დონორთა მხარდაჭერით (UNDP, SDC, GIZ). ამასთან, აღსანიშნავია ფერმერთა ასოციაციის და აგრარული მიმართულების სექტორული ასოციაციების ინიციატივა, რომლის ფარგლებშიც დაფუძნდა დარგობრივი უნარების ორგანიზაცია "აგრო-დუო". "აგრო-დუო" იქნება წამყვანი ორგანიზაცია აგრარული მიმართულებით კვალიფიკაციების განვითარების პროცესში;

(6) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო არის სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის წევრი, რაც ქვეყანაში სოციალურ პარტნიორობთან დიალოგის უმაღლესი პლატფორმაა. 2019 წელს საჯარო-კერძო პარტნიორობის პრინციპით დაკომპლექტდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო. საბჭოში გამოიყო დამსაქმებლის/მათი გაერთიანების, დარგობრივი გაერთიანების წარმომადგენლის, სამოქალაქო სექტორის (არასამთავრობო) ან/და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლის კვოტები. გარდა ზემოაღნიშნულისა კერძო სექტორი, ასევე აქტიურადაა ჩართული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეთვალყურეო საბჭოებსა და მომზადება-გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელ საბჭოში.

ამოცანა 1.2 საქართველოში არსებული პროფესიული კვალიფიკაციების ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან თავსებადობის, აღიარების და მობილობის მექანიზმების შემუშავება და დანერგვა

პროფესიული განათლების რეფორმის ფარგლებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა პროფესიული განათლების სისტემის ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან თავსებადობის უზრუნველყოფა. რისთვისაც მუშაობა ჯერ კიდევ 2015 წლიდან დაიწყო. ამ მიმართულებით 2019 წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, როგორც კვალიფიკაციების თავსებადობის, ასევე პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების „EUROPASS“-ის დოკუმენტებთან შესაბამისობაში მოყვანის კუთხით.

საქართველოში არსებული პროფესიული კვალიფიკაციების ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან თავსებადობის უმთავრესი ინსტრუმენტია ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩო (EQF), რომლის ძირითადი მიზნებია სტუდენტთა და დასაქმებულთა მობილობის ხელშეწყობა და უწყვეტი განათლების სისტემის ჩამოყალიბება. EQF-ის საშუალებით კვალიფიკაციები არის ადვილად აღსაქმელი და გასაგები ევროპულ სივრცეში სხვადასხვა ქვეყნებისა და სისტემებისათვის. ასევე, იძლევა ერთი ქვეყნის ეროვნული კვალიფიკაციების შედარების საშუალებას მეორე ქვეყნის ეროვნულ კვალიფიკაციებთან. სისტემაში 2015 წლიდან დაიწყო იმ დროისათვის არსებული ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს ანალიზის პროცესი ეროვნულ დონეზე. ანალიზის შედეგად გამოვლენილი ჩიხების აღმოფხვრის მიზნით 2018 წელს კანონმდებლობაში განხორციელდა ცვლილებები და მომზადდა მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების **ეროვნულ კვალიფიკაციათა განახლებული ჩარჩო დოკუმენტი** და

საერთაშორისო დონეზე განსაზღვრული სწავლის სფეროების (ISCED) შესაბამისი განათლების სფეროების კლასიფიკატორი. 2019 წლის 10 აპრილს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის #69/ნ ბრძანების საფუძველზე დამტკიცდა ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო და სწავლის სფეროების კლასიფიკატორი და დაიწყო მისი აქტიური დანერგვა. ახალი კვალიფიკაციების ჩარჩო ხელს შეუწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის კვალიფიკაციათა სისტემის განვითარებას. ჩარჩოს დანერგვის მხარდაჭერის მიზნით ETF-თან ერთად შემუშავდა ევროკავშირის ახალი პროექტი “განათლების ხარისხისა და კვალიფიკაციების მმართველობის შესაძლებლობების გაძლიერების ევროკავშირის საჯარო დამმობილების პროექტი”, რომლის დანერგვაც დაიწყო 2019 წელს.

ეროვნული კვალიფიკაციების განახლებული ჩარჩო პროფესიული განათლების საფეხურზე მოიცავს 17 სფეროს (კვალიფიკაციების ჩარჩოს ვიწრო სფერო) და 90-ზე მეტ კვალიფიკაციას.

ევროკავშირის საჯარო დამმობილების პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია მუშაობა [ეროვნული კვალიფიკაციების ელექტრონული რეესტრის](#) შექმნის მიმართულებით. 2019 წლის ნოემბერში მომზადდა კონცეფცია, რომლის საფუძველზეც, 2020 წლის იანვარში, EMIS - თან თანამშრომლობით, დაიწყება კვალიფიკაციების ელექტრონული რეესტრის შექმნისთვის აუცილებელი ტექნიკური დავალების პროექტის მომზადება. ამ ეტაპისათვის შემუშავებული და ინიცირებულია „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მართვის, განვითარების, მონიტორინგის და კვალიფიკაციების ელექტრონული რეესტრის შექმნისა და ადმინისტრირების წესი“. აღნიშნულის დამტკიცების შემდეგ იქნება შესაძლებელი ელექტრონული სისტემის/რეესტრის შექმნა-განვითარება და მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ასევე, აღსანიშნავია, რომ 2019 წლის მეორე კვარტალში დამტკიცდა [პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის](#) - დიპლომისა და მისი დანართის ფორმა „EUROPASS“ შესაბამისად, ასევე, დიპლომის დანართის შევსების ინსტრუქცია, რითაც პროფესიული განათლების დიპლომი გახდა ევროპულ სტანდარტებთან თავსებადი.

ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან თავსებადობის კონტექსტში 2019 წლიდან დაიწყო მუშაობა [ინგლისური ენის სწავლების](#) გაძლიერების მიმართულებით. GGF-ის ფინანსური მხარდაჭერით, ბრიტანეთის საბჭოს (BC) მიერ განხორციელდა პროექტი „ინგლისური ენა დასაქმებისთვის პროფესიულ განათლებაში“, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესებისა და მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა. პროექტის ფარგლებში, კვლევის, სიტუაციური ანალიზისა და საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე მომზადდა კონკრეტული რეკომენდაციები ინგლისური ენის სწავლების გაძლიერების მიმართულებით. აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით, ინგლისური ენის სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის მუშავდება კოლეჯებში დასანერგი ახალი მოდელები. აღსანიშნავია, რომ ინგლისური ენის სწავლების გაძლიერება დაკავშირებულია სტრატეგიის ერთ-ერთ საკვანძო მიმართულებასთან - ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობასთან.

[ამოცანა 1.3 შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციების განვითარება](#)

2014-2018 წლებში განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების რეფორმა, რაც კომპეტენციებზე დაფუძნებული, **მოდულური პროფესიული პროგრამების** დანერგვას გულისხმობს. მოდულური მიდგომის თანახმად, როგორც პროგრამის შემუშავება, ასევე უშუალოდ სწავლება, ეფუძნება თემებს (ამდენად, ერთი თემა შესაძლოა რამდენიმე საგნის კომბინაციასაც კი წარმოადგენდეს). მოდულურ პროგრამებში აქცენტები კეთდება არა მხოლოდ პროფესიული უნარების (ხელობის, პროფესიის შესწავლა) განვითარებაზე, არამედ საბაზო (წიგნიერება, მათემატიკური უნარები და სხვ.) და საკვანძო (მეწარმეობა, უცხო ენაზე კომუნიკაცია, ციფრული კომპეტენციები და სხვ.) უნარების განვითარებაზეც. შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა, სწავლის შედეგებზე ორიენტაცია, პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება და სწავლება-შეფასების თანამედროვე მიდგომები მოდულური პროგრამების ძირითადი მახასიათებლებია. 2019 წლის იანვრიდან ყველა საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია სტუდენტები მიიღოს მხოლოდ მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე. ამდენად, სისტემა სრულად გადავიდა მოდულური პროგრამებით სწავლებაზე. აღსანიშნავია, რომ მოდულური პროგრამების შემუშავების პრინციპი ითვალისწინებს კერძო კომპანიების/დარგობრივი ასოციაციების აქტიურ მონაწილეობას. აღსანიშნავია, რომ 2019 წელს, ასევე დასრულდა MCA-Georgia-ს საგრანტო კონკურსის ფარგლებში შემუშავებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული პროგრამების დანერგვის პროცესი. შედეგად, 2018-2019 წლებში დაინერგა 40-ზე მეტი პროგრამა ინჟინერიის, ტექნოლოგიების და მეცნიერების მიმართულებით.

2019 წელს დამსაქმებლების და დარგის წარმომადგენლების უშუალო მონაწილეობით მომზადდა და ინიცირებულ იქნა 4 კვალიფიკაცია, მათ შორის საფრანგეთის სტუმართმოყვარეობისა და მართვის სკოლის “VATEL” ინიცირებით დამტკიცა სასტუმროს მენეჯმენტის კვალიფიკაცია.

ამოცანა 1.4 ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტური მექანიზმების განვითარება და დანერგვა

სტრატეგიაში მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფა. 2019 წელს „პროფესიული განათლების შესახებ“ და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, მომზადდა „**საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ**“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებაში ცვლილების პროექტი. ცვლილების პროექტი ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის აქამდე არსებული ავტორიზაციის 3 სტანდარტის - 5 ახალი სტანდარტით ჩანაცვლებას, რომლებიც შეეხება: ა) კოლეჯის მისიას და სტრატეგიულ განვითარებას; ბ) საგანმანათლებლო პროგრამებს; გ) პროფესიულ სტუდენტებსა და მათ მხარდამჭერ ღონისძიებებს; დ) ადამიანურ რესურსებსა და ე) მატერიალურ, საინფორმაციო და ფინანსურ რესურსებს. პროექტი, ასევე ითვალისწინებს ზემოაღნიშნული სტანდარტების დეტალურ აღწერას, კომპონენტებს/კრიტერიუმებს, ინდიკატორებს და მტკიცებულებებს. პროექტის მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ოთხდონიანი სისტემა, რომელიც ემსახურება მოქნილი და განვითარებაზე ორიენტირებული შეფასების დანერგვის ხელშეწყობას. ასევე, მნიშვნელოვანი სიახლეა მეტი აქცენტის გაკეთება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხზე.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამები ფასდება შესაბამისი სტანდარტის მიხედვით ცალ-ცალკე და საბჭო მიიღებს დადებით გადაწყვეტილებას მხოლოდ იმ პროგრამებთან მიმართებაში, რომლებიც ამ სტანდარტს დააკმაყოფილებენ. შესაბამისი სპეციფიკისა და თავისებურებების გათვალისწინებით, ახლებურად ჩამოყალიბდა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულება, რომელშიც ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციას ცალ-ცალკე თავები ეთმობა. ავტორიზაციის ახალი დებულებისა და ახალი პროფესიული სტანდარტების გათვალისწინებით, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ტექნიკური მხარდაჭერით დაწყებულია მუშაობა ხარისხის მართვის ელექტრონულ სისტემაზე (QMS), რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდება საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პროცესის სრული ავტომატიზაცია. უკვე დასრულების ეტაპზეა QMS-ის ერთ-ერთი კომპონენტი - თვითშეფასების ყოველწლიური ანგარიშის წარდგენის ელექტრონული პლატფორმა.

ავტორიზაციის ახალი სტანდარტების შემუშავების პარალელურად დღის წესრიგში დადგა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში ჩართული პირების შესაძლებლობების განვითარება, შედეგად, განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაზე და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების შესაძლებლობების გაძლიერების არაერთი აქტივობა. ახალი სტანდარტების შესაბამისად შემუშავებული თვითშეფასების ანგარიშის ფორმის განახლებული ვერსიის ფარგლებში წლის განმავლობაში გაიმართა 5 სამუშაო შეხვედრა/ტრენინგი, ასევე ახალი სტანდარტების განხილვის მიზნით გაიმართა 3 სამუშაო შეხვედრა. სამუშაო შეხვედრებსა და ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში ჩართულმა 200-მდე პირმა. ამასთან ავტორიზაციის სტანდარტების დანერგვის მხარდაჭერის მიზნით, 2019 წელს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა მიიღო გაეროს განვითარების პროგრამის გრანტი. საგრანტო პროექტის ფარგლებში დაგეგმილია პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების სერტიფიცირება, ექსპერტთა კორპუსის შექმნა, ავტორიზაციის საბჭოს შესაძლებლობების განვითარება და სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები.

ამოცანა 1.5 პროფესიული განათლების მასწავლებლის უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და ახალი კადრების მოზიდვა

პროფესიული განათლების მასწავლებლის უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და ახალი კადრების მოზიდვა პროფესიული განათლების რეფორმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. 2019 წელს კი GGF-ის დაფინანსებით და მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით დაიწყო პროექტი „მასწავლებელთა ხარისხის ამაღლება პროფესიულ განათლებაში“, რომლის ფარგლებშიც უკვე გადაიხედა პროფესიული განათლების მასწავლებელთა სტანდარტი. პროექტის ფარგლებში, ასევე მომზადდა მასწავლებელთა ანაზღაურების დივერსიფიცირებული სისტემის მოდელები, რომელთა განხილვაც დაგეგმილია დაინტერესებულ მხარეებთან. პოზიციების შეჯგურების შემდეგ მოხდება კონკრეტული მოდელის შერჩევა და დანერგვისათვის საჭირო სამუშაოების განხორციელება.

პროფესიული განათლების მასწავლებელთა შესაძლებლობების განვითარების მიზნით, პროფესიული განათლების მასწავლებელთა საჭიროებების შესაბამისად, სსიპ მასწავლებელთა

პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების მასწავლებელთა და დირექტორთა განვითარების პროგრამის ფარგლებში, 2019 წელს დაიგეგმა და ჩატარდა საჯარო პროფესიული მასწავლებლების მასწავლებელთა ტრენინგები 5 ძირითადი მიმართულებით: პროფესიული მასწავლებლის პედაგოგიური კურსი (გაიარა 450-მდე პედაგოგმა); ინდივიდუალური კონსულტირება კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების საკითხებში (გაიარა 70-მდე პედაგოგმა); მოდულური სწავლების საკითხები დამწყები მასწავლებლებისათვის (გაიარა 63-მა პედაგოგმა); სამეწარმეო კომპეტენციების განვითარება (გაიარა 200-მდე პირმა); ტრენინგები საწარმოებში, რომელიც ჩატარდა 10 დარგობრივი მიმართულებით (გაიარა 110-მდე პირმა).

რაც შეეხება საერთაშორისო გამოცდილებას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებებისა და ორგანიზაციის “სენიორ ექსპერტ სერვისი (SES)” თანამშრომლობის ფარგლებში, GIZ-ის მხარდაჭერით განხორციელდა გერმანულ ექსპერტთა ვიზიტი საქართველოში. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა სასწავლო პროცესისა და სწავლების მეთოდების გაუმჯობესების მხარდაჭერა. ექსპერტების მიერ განხორციელდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგები ტურიზმისა და მშენებლობის მიმართულებით. პროცესში ჩართული იყო 5 საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაცია და მასწავლებლები. კონცეფციის დონეზე შემუშავებულია სამოქმედო გეგმა პროფესიული კოლეჯებისა და გერმანიის დასაქმების სააგენტოს სამომავლო თანამშრომლობის შესახებ.

პროფესიული განათლების მიმართულებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კვალიფიციური კადრების მომზადების მიზნით GIZ-ის მიერ მხარდაჭერილია საქართველოში ახალი სამაგისტრო პროგრამის „პროფესიული განათლება და ადამიანური რესურსების განვითარება“ შემუშავება. პროგრამის შემუშავებაზე მუშაობდნენ სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. უნივერსიტეტები პროგრამის აკრედიტაციას გეგმავენ 2020 წლისთვის. აღსანიშნავია, რომ გერმანული მხარის მიერ განხორციელდა შესაბამისი ადამიანური რესურსების განვითარება და სასწავლო რესურსების მობილიზება პროგრამის წარმატებით განხორციელებისთვის.

პროფესიული განათლების სისტემის სათანადო კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებით/მასწავლებლებით უზრუნველყოფის მიზნით, მნიშვნელოვანია ინიციატივა განხორციელდა UNDP-ის მხარდაჭერით. ინიციატივის ფარგლებში აგრონომიის საბაკალავრო პროგრამაში ინტეგრირდა პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადების და ექსტენციის ცენტრის მართვის კომპონენტები, რომლებზეც აკრედიტაცია გაიარა სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა. პროგრამაზე სტუდენტების პირველი ნაკადი 2019 წელს ჩაირიცხა.

ამოცანა 1.6 კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობის მიზნით სამეწარმეო სწავლების დანერგვა

კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმს სწორედ სამეწარმეო სწავლების გაძლიერება წარმოადგენს.

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მეწარმეობის სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისა და ახალი სერვისების დანერგვის მიზნით, სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

აღსანიშნავია, რომ განათლების სისტემაში სამეწარმეო სწავლების გაძლიერების მიზნით, მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა განათლების ყველა საფეხურზე მეწარმეობის სწავლების დანერგვის სამოქმედო გეგმა 2019-2020 წლისთვის და შეიქმნა უწყვეტი სამეწარმეო სწავლების (LLEL) დანერგვის სამუშაო ჯგუფი. 2019 წლიდან სისტემაში ყველა დანერგილი პროგრამა მოიცავს მეწარმეობის მოდულს, როგორც სავალდებულო კომპონენტს. თუმცა მეწარმეობის სწავლების პრიორიტეტიზაცია დღის წესრიგში აყენებს სწავლების უფრო ეფექტური მეთოდების გამოყენებას, რისთვისაც ETF-ის და UNDP-ის მხარდაჭერით, დაიგეგმა პროფესიულ სასწავლებლებში მეწარმეობრივი კულტურის დანერგვის მოდელის შექმნა. მოდელზე მუშაობა მიმდინარე წელს დაიწყო, დეკემბრის თვეში განხორციელდა სამუშაო შეხვედრა „სამეწარმეო პროფესიული სასწავლებელი“, რომელშიც მონაწილეობდნენ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები. შეხვედრის ფარგლებში, შემუშავდა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მეწარმეობრივი კულტურის დანერგვის მოდელები. აღნიშნული მოდელების პილოტირება დაგეგმილია 2020 წელს, შერჩეულ 4 საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

გარდა აღნიშნულისა, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის დაფინანსებით, სამინისტროსა და კალიფორნიის უნივერსიტეტთან პარტნიორობით, განხორციელდა პროფესიული სასწავლებლების გაძლიერების პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა მეწარმეობის სწავლების ხელშეწყობას ორი მიმართულებით - (1) მეწარმეობის მოდულის განვითარება და (2) პროექტზე დაფუძნებული სწავლების პრინციპების დანერგვის მხარდაჭერა. პროექტის პირველი კომპონენტის ფარგლებში კალიფორნიის უნივერსიტეტის გამოცდილების საფუძველზე, ევროპული კომპეტენციების ჩარჩოს (EntreComp) კონტექსტში გადაიხედა მეწარმეობის არსებული მოდული და დამხმარე მასალები. გადამუშავებული მოდული დანერგვის მიზნით წარედგინა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. პროცესები მიმდინარეობდა მეწარმეობის ექსპერტის უშუალო ჩართულობით და მასწავლებლების მხარდაჭერით, პარალელურად მიმდინარეობდა გაკვეთილებზე დაკვირვება, ინტერვიუები, ფოკუს ჯგუფები და მონაწილეების გამოკითხვა. ასევე, ჩატარდა ორდღიანი სამუშაო შეხვედრა, ჯამში 21 სასწავლო დაწესებულების მეწარმეობის მასწავლებელთან, რომლის დროსაც მოხდა მოდულის კონცეფციის გაცნობა და უკუკავშირის მიღება. ხოლო პროექტის მეორე კომპონენტის ფარგლებში სამ პროფესიულ სასწავლებელში განხორციელდა პროექტებზე დაფუძნებული სწავლების მეთოდოლოგიის პილოტირება.

2019 წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზაზე არსებული ფაბლაბების ქსელის გაძლიერება, პროცესებს კოორდინაციას უწევდა სსიპ კოლეჯის „მოდუსი“ ბაზაზე არსებული ფაბლაბი - ფაბლაბ მოდუსი. პროფესიული ფაბლაბების ქსელი შექმნის ფარგლებში, ტექნოპარკთან თანამშრომლობით, მოხდა ლაბორატორიების მენეჯერების გადამზადება. ასევე, საქართველოს მასშტაბით, კოლეჯების ფაბლაბებში განხორციელდა სამუშაო ვიზიტები. რიგ კოლეჯებში აქტიურად ხორციელდებოდა სტუდენტების მიერ ფაბლაბების სპეციალური პროგრამების გამოყენებით სხვადასხვა პროტოტიპებისა და პროდუქტების მომზადება.

მეწარმეობის სწავლების მიმართულებით, ასევე სამუშაოები წარმართა პროფესიული განათლების მასწავლებელთა შესაძლებლობების განვითარების კუთხით. ETF-თან თანამშრომლობით შედგა მეწარმეობის მოდულზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფი და მასწავლებელთა უკრაინული ტრენინგ-მოდული „პროფესიული მასწავლებლების გაძლიერება მეწარმეობაში“ მოდიფიცირდა ქართული კონტექსტის გათვალისწინებით. შედეგად, შეიქმნა ახალი ტრენინგ-მოდული „პროფესიულ მასწავლებელთა სამეწარმეო კომპეტენციების განვითარება“. შეირჩნენ ტრენერები და დაიწყო ახალი მოდულით ტრენინგების ჩატარება პროფესიულ მასწავლებლებში. ამ ეტაპისთვის მეწარმეობაში გამზადებულია 200-მდე მასწავლებელი.

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს განხორციელდა OECD-ის მიერ ქვეყნის შეფასება „SME Policy Index - 2020“-ის ფარგლებში. შეფასების შედეგების თანახმად, მეწარმეობის სწავლების კომპონენტი 2016 წელთან შედარებით 2.70-დან 4.24 ნიშნულამდეა გაუმჯობესებული.

ამოცანა 1.7 პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EVET) განვითარება

პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (EVET) ასახავს ინფორმაციას საგანმანათლებლო დაწესებულებების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე/ჩარიცხული პირების პერსონალური მონაცემების შესახებ (მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში – მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ), აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ინფორმაციას. სამინისტროს მიერ მონაცემების პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში შეგროვებას, შენახვას, დამუშავებას, ანალიზსა და ადმინისტრირებას დადგენილი წესით უზრუნველყოფს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. EVET სისტემა 2013 წლიდან ფუნქციონირებს და ეტაპობრივად მიმდინარეობს მისი განვითარების პროცესი. 2019 წელს დაიწყო შესაბამისი ბიზნეს - პროცესების კვლევა და ანალიზი, რის საფუძველზეც განხორციელდა **განახლებული პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის** შექმნისთვის საჭირო ტექნიკური დავალების ფორმირება და 2019 წლის ბოლოსთვის შემუშავდა შესაბამისი პროგრამული მოდულები. ასევე მომზადდა „პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანების პროექტი. მიმდინარეობს მისი დამტკიცების პროცედურა.

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს EVET-ის ბაზაში ინტეგრირდა პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების/დადასტურების კომპონენტი, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების ელექტრონული მონაცემები და პროგრამის შემუშავების კომპონენტი.

პირველი სტრატეგიული ამოცანის ინდიკატორი

1. პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის ზრდა:

- 2018 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი შეადგენს 60%-ს (გამოკითხულია ის სტუდენტები, რომლებმაც 2017 წელს დაასრულეს სწავლა);
- 2019 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი შეადგენს 62%-ს (გამოკითხულია ის სტუდენტები, რომლებმაც 2018 წელს დაასრულეს სწავლა).

2. დუალური პროგრამების რაოდენობის ზრდა:

- 2018 წელს სისტემაში დანერგილი დუალური პროგრამების რაოდენობაა 23;
- 2019 წელს სისტემაში დანერგილი დუალური პროგრამების რაოდენობაა 30.

სტრატეგიული ამოცანა 2: მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის პრინციპზე დაფუძნებული პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

სტრატეგიაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის პრინციპზე დაფუძნებული პროფესიული განათლების სისტემის ჩამოყალიბებას. პროფესიული განათლების სისტემა უნდა გახდეს განათლების ერთიანი სისტემის ნაწილი და უნდა მოხდეს მისი დაკავშირება, როგორც ზოგად, ასევე უმაღლეს განათლებასთან. ასევე, უნდა განვითარდეს ზრდასრულთა განათლების სისტემა.

რეფორმის თანახმად, ზოგადი განათლების პროფესიულ განათლებასთან ინტეგრირებით სტუდენტებს, რომლებიც საბაზო განათლების საფუძველზე მიიღებენ პროფესიულ განათლებას, მიეცემათ აკადემიური განათლების საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა. ამასთან, შესაძლებელი გახდება პროფესიული განათლების საფეხურზე მოპოვებული კრედიტების უმაღლესი განათლების საფეხურზე აღიარება. სტრატეგიაში ასევე, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული კომპეტენციების აღიარების შესაძლებლობის შექმნას და არაფორმალური განათლების აღიარების სისტემის ჩამოყალიბებას, რამაც ხელი უნდა შეუწყოს კომპეტენციების გაუმჯობესებას და მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლას. ასევე, 2019 წელს მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა ზრდასრულთა განათლების სისტემის ფორმალიზება. აღსანიშნავია, რომ პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით საკვანძოა საგანმანათლებლო დაწესებულებების ოპტიმალური ქსელის ჩამოყალიბება.

ამოცანა 2.1 პროფესიული განათლების დაკავშირება განათლების სხვა საფეხურებთან და საგანმანათლებლო ჩიხების აღმოფხვრა

პროფესიულ განათლებისა და ზოგადი განათლების საფეხურებს შორის მოქნილი კავშირის განვითარების მიზნით, 2019 წელს გაგრძელდა მუშაობა პროფესიულ განათლებაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების მიმართულებით. ე.წ. „ინტეგრირებული“ პროგრამების დანერგვის მიზნით, მოსამზადებელი სამუშაოები ჯერ კიდევ 2016-2018 წლებში განხორციელდა - UNDP-ის მხარდაჭერით მომზადდა შესაბამისი მიდგომა, დადგინდა იმ სასწავლო მოდულების შინაარსი, რომელთა ინტეგრირებაც უნდა განხორციელდეს პროფესიულ პროგრამებში, რომ პროფესიის შესწავლასთან ერთად, სტუდენტებმა მიიღონ სრული ზოგადი განათლებაც. „ინტეგრირებული მოდულების“ პილოტირება ჩატარდა სამ საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

კანონის მიღების შემდეგ, პილოტირების საფუძველზე, დაიწყო სასწავლო მოდულებისა და მასწავლებელთა სახელმძღვანელოების გადამუშავება. შემუშავდა და დამტკიცდა „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესი და პირობები“. აღნიშნული წესის დანართებად დამტკიცდა ინტეგრირებული ზოგადი მოდულები: „კომუნიკაცია ქართულ ენაზე“; „მათემატიკური წიგნიერება“; „მოქალაქეობა“; „მეწარმეობა“; „მეცნიერება და ტექნოლოგიები“.

2019 წელს საჯარო და კერძო კოლეჯების ადმინისტრაციის წარმომადგენლებისათვის ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები და ტრენინგები „ინტეგრირების“ მიზნების, მიდგომის, სასწავლო გეგმებში „ინტეგრირებული მოდულების“ ჩართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის თემებთან დაკავშირებით. „ინტეგრირებული პროგრამების“



განხორციელების უფლების მოპოვებასთან დაკავშირებული თავისებურებები აისახა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების ცვლილების პროექტში.

UNDP-ის მხარდაჭერით 2019 წელს დაიწყო მუშაობა ინტეგრირებული საშუალო საფეხურის პროგრამის ფარგლებში სწავლის შედეგების დადასტურების წესისა და სტუდენტთა შეფასების კუთხითაც.

გამოიკვეთა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი 7 დაწესებულება, რომელიც პირველ ეტაპზე ჩაერთვება „ინტეგრირებული“ პროგრამების განხორციელებაში. დაწესებულებების მიერ გამოცხადებული ღია კონკურსის საფუძველზე წინასწარ განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად შეირჩნენ ინტეგრირებული მოდულების მასწავლებლები. UNDP-ის მხარდაჭერით 2020 წლიდან დაიწყო შერჩეული მასწავლებლების ტრენინგი. 2020 წლის საგაზაფხულო მიღების ფარგლებში დაიწყება პროგრამებზე სწავლის მსურველთა რეგისტრაცია.

GGF-ის დაფინანსებით მიმდინარეობს პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს ტექნიკურ დახმარებას „[მოკლე ციკლის“ პროგრამების](#) დანერგვაში. პროექტის ფარგლებში მომზადდა შესაბამისი კონცეფცია, სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია და „ასოცირებული ხარისხის“ კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროგრამების განხორციელების სარეკომენდაციო მიდგომები და მეთოდოლოგია.

განათლების უწყვეტობის ხელშეწყობა, პროფესიულ და ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება და ზოგადი განათლების საფეხურზე პროფესიული სწავლების დანერგვა „სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების ქვეპროგრამის“ მთავარი მიზანია. პროგრამა ზოგად და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის პირველ მასშტაბურ ინიციატივას წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც ორივე საფეხურის დაწესებულებებს შესაძლებლობა აქვთ გაეცნონ ერთმანეთის შესაძლებლობებს და შეიმუშაონ ერთობლივი კურსები. ქვეპროგრამა ორიენტირებულია, დაეხმაროს სკოლის მოსწავლეებს განათლების ერთი საფეხურიდან მეორეზე წარმატებულ და უმტკივნეულო ტრანზიციის მიზნითაც, საჯარო სკოლების მე-8-9 კლასების მოსწავლეებს სთავაზობს ჯერ პროფორიენტაციულ კურსებს, ხოლო მე-10-12 კლასის მოსწავლეებს სასერტიფიკატო კურსებს, რაც პროფესიულ განათლებაში პირველ ნაბიჯს წარმოადგენს.

[ამოცანა 2.2 სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების, მათ შორის ზრდასრულთა საჭიროებების შესაბამისი, მოქნილი სასწავლო პროგრამების, მოდელებისა და სერვისების შექმნა](#)

პროფესიული განათლების რეფორმის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს პროფესიული განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. შესაბამისად, პროფესიული განათლების რეფორმის ფარგლებში გათვალისწინებულია ზრდასრულთა და სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების, როგორცაა შშმ, სსსმ პირების, ეროვნული უმცირესობების, დევნილების, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საჭიროებები.

2019 წლიდან სამინისტრომ დაიწყო ზრდასრულთა განათლების სისტემის განვითარება. მოკლევადიანი [პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამები](#) ფორმალური განათლების ნაწილი გახდა. მოკლევადიანი პროფესიული მომზადება/გადამზადების

პროგრამის დასრულებისას გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერთიფიკატი, კრედიტებისა და მიღწეული სწავლის შედეგების მითითებით. მოკლევადიანი კურსების განხორციელების უფლების მოპოვება შეუძლია ნებისმიერ იურიდიულ პირს დამოუკიდებლად ან სხვა დაწესებულებასთან თანამშრომლობით, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამის სტანდარტს. ზემოხსენებული პროგრამების განხორციელების შემთხვევაში განმახორციელებელს შესაძლებლობა ეძლევა: გასცეს სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერთიფიკატი, შეიმუშავოს პროგრამა საჭიროებების შესაბამისად და მიიღოს სახელმწიფო დაფინანსება. სისტემის განვითარების მიზნით შემუშავდა და დამტკიცდა მიდგომის განხორციელებისათვის საჭირო ყველა სამართლებრივი აქტი, განისაზღვრა მომზადება-გადამზადების კომპონენტის დაფინანსების მექანიზმი. ამასთანავე, სპეციალური ქვეპროგრამის ფარგლებში შეიქმნა კომისია, რომელიც წლის განმავლობაში განიხილავდა მიზნობრივი ორგანიზაციების წარმოდგენილ განაცხადებს. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროცესების სრული ავტომატიზაციის მიზნით შემუშავდა ელექტრონული პლატფორმა Tvet.emis.ge, რომლის მეშვეობითაც ელექტრონულად ხორციელდება როგორც პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების უფლების მოპოვების, ისე უფლების დადასტურების მიზნით იურიდიული პირის მიერ განაცხადების წარდგენა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. ასევე, ელექტრონულად მიმდინარეობს მსმენელთა რეგისტრაცია პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამებზე შემდეგ ელექტრონულ პლატფორმაზე vet.emis.ge.

თბილისის, ქვემო ქართლის, აჭარის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, გურიისა და იმერეთის რეგიონებში მშენებლობის, ინფორმაციული ტექნოლოგიების, ტურიზმის, მომსახურების, წარმოებისა და გადამამუშავების მიმართულებით დაფინანსდა 61 განაცხადი (მომზადების პროგრამა - 44, გადამამუშავების - 17). 2019 წლის დეკემბრის მონაცემებით, პროფესიული მომზადება/გადამამუშავების პროგრამებზე კურსდამთავრებულთა რაოდენობა შეადგენს 443-ს.

აღსანიშნავია, რომ 2016 წლიდან [ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები](#) სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში ირიცხებიან აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი და რუსულენოვანი ტესტების საფუძველზე, რის შემდეგაც გადიან ქართული ენის შემსწავლელ მოდულს და სწავლას აგრძელებენ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. 2019 წელს არაქართულენოვანი ტესტების საფუძველზე პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩაირიცხა 76 პირი.

„სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების ქვეპროგრამის“ ფარგლებში 2019 წელს ახალციხის, ახალქალაქის, მარნეულის, ლაგოდეხისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტების არაქართულენოვან სკოლებში პროფესიული უნარების განვითარების 23 საორიენტაციო კურსი განხორციელდა, სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით კი კურსების განხორციელების პროცესში აზერბაიჯანულ და სომხურენოვანი მასწავლებლები ჩართვნენ.

[სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე \(სსსმ\) პირებისათვის](#) პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, 2019 წელს სსსმ პირებისთვის ცალკეული პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული მინიმალური ადგილების რაოდენობა გაიზარდა 10-დან 15%-მდე. 2019 წელს ალტერნატიული ტესტირების საფუძველზე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩაირიცხა სპეციალური საგანმანათლებლო

საჭიროების მქონე 247 პირი. ამასთანავე, სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის შეფასებისა და რეკომენდაციის საფუძველზე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 12 პირს გაეწია სხვადასხვა ტიპის აკომოდაცია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროფესიული ტესტირების დროს. 2019 წელს, სსსმ და შშმ პირთა პროფესიული ორიენტაციის პროცედურის გაუმჯობესების მიზნით, დამატებით მომზადდა 15 პროფესიული პროგრამის/პროფესიის ანალიზი და უნივერსალური დიზაინის პრინციპებზე დაფუძნებული პროფესიების გასაცნობი 10 ვიდეო რგოლი. ასევე, საანგარიშო პერიოდში შეიქმნა ინკლუზიური პროფესიული განათლების მარეგულირებელი დოკუმენტი „პირის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების იდენტიფიკაციისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების განხორციელების წესი და პირობები“. ყველა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სსსმ და შშმ პროფესიული სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან ინდივიდუალური საჭიროების შესაბამისი ადამიანური და მატერიალური მხარდაჭერით.

აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი სტუდენტისათვის, მათ შორის მოწყვლადი ჯგუფებისათვის ხელმისაწვდომია **სტუდენტური საერთო საცხოვრებელი 5** საგანმანათლებლო დაწესებულებაში (კახეთი, იმერეთი, აჭარა, სამეგრელო-ზემო სვანეთი) და მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები დამატებით სტუდენტური საერთო საცხოვრებლის განვითარების მიზნით წალენჯიხის მუნიციპალიტეტში. ასევე, 2019 წელს ხორციელდებოდა სხვადასხვა **მიზნობრივი პროგრამები**, მათ შორის სექტორული უწყებების მიერ:

- „მსჯავრდებული პირებისათვის და ყოფილი პატიმრებისათვის პროფესიული განათლების მიღების ხელმისაწვდომობის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელდა ტრენინგ-კურსები პირობით ვადამდე გათავისუფლებული და პირობითი მსჯავრდებულებისათვის. კურსების განხორციელებაში ჩაერთო 700-მდე ბენეფიციარი;
- სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის“, ფარგლებში განხორციელდა სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება/გადამზადება;
- „დევენილთა პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამა“ მოიცავს ორ კომპონენტს - სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული დევნილის სტატუსის მქონე სტუდენტების ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურება და სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დევნილის სტატუსის მქონე კურსდამთავრებული და სერტიფიცირებული პირების თვითდასაქმების ხელშეწყობა, პროფესიის შესაბამისი ხელსაწყოებისა და აღჭურვილობის გადაცემის გზით.

ამოცანა 2.3 ფორმალური და არაფორმალური განათლების აღიარების ეფექტური მექანიზმების შექმნა და განვითარება

პროფესიული განათლების შესახებ ახალი კანონი მიზნად ისახავს პროფესიული განათლების სისტემის მოქნილობის გაუმჯობესებას, მათ შორის კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის მექანიზმის ჩამოყალიბებას. 2019 წელს მომზადდა **ფორმალური განათლების აღიარების** წესის პროექტის საბოლოო ვერსია, ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან წესის პროექტთან დაკავშირებით; მომზადდა ფორმალური განათლების აღიარების გზამკვლევი.

2019 წელს განხორციელდა ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების პილოტირება 18 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში. შემუშავებული წესის დამტკიცება დაგეგმილია პილოტირების შედეგების ანალიზის შემდეგ.

2019 წელს შემუშავდა და დამტკიცდა არაფორმალური განათლების აღიარების მარეგულირებელი დოკუმენტები. შეირჩა არაფორმალური განათლების აღიარების კონსულტანტები და განხორციელდა შესაძლებლობების განვითარების აქტივობები. განხორციელებული აქტივობების საფუძველზე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი მზად არის მიიღოს დაწესებულებების განაცხადები არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვებასთან დაკავშირებით.

ამოცანა 2.4 დივერსიფიცირებული დაფინანსების მექანიზმების შექმნა

GGF-ის მხარდაჭერით, 2019 წლიდან დაიწყო პროექტი „დივერსიფიცირებული დაფინანსების მექანიზმები პროფესიულ განათლებაში“. პროექტის ფარგლებში მომზადდა საქართველოს პროფესიული განათლების დაფინანსების სიტუაციური ანალიზი და საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი, რის საფუძველზეც შემუშავდა დაფინანსების ალტერნატიული მოდელები. შემოთავაზებული მოდელები წარდგენილია დაინტერესებულ მხარეებთან განსახილველად.

მნიშვნელოვანი სიახლე, რომელსაც კანონი გვთავაზობს არის ის, რომ სახელმწიფო დაფინანსება შესაძლებელია გავრცელდეს კერძო პროვაიდერებზეც (სახელმწიფო პოლიტიკისა და პრიორიტეტების შესაბამისად), შედეგად, 2019 წელს კერძო პროვაიდერები პირველად ჩაერთვნენ ვაუჩერულ დაფინანსებაში პრიორიტეტული მიმართულებების ფარგლებში. სახელმწიფო დაფინანსება მოიპოვა კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების 234-მა პროფესიულმა სტუდენტმა.

2019 წელს გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსების ოდენობა, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივი ანაზღაურების 30%-ით გაზრდის შესაძლებლობას იძლევა. ასევე, ცვლილება განხორციელდა იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციული ხარჯების დაფინანსების კუთხით, რომლებიც ახორციელებენ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ცვლილების თანახმად შესაძლებელია ვაუჩერული დაფინანსების ფარგლებში, მოხდეს უმაღლესი სასწავლებლების ადმინისტრაციული ხარჯების დაფინანსება, რის შესაძლებლობაც არ იძლეოდა მანამდე არსებული დაფინანსების მიდგომა.

აღსანიშნავია, რომ ახალი კანონის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს უფლება, მოიზიდოს საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ფინანსური სახსრები, მათ შორის, მიიღოს შემოსავალი ისეთი ეკონომიკური საქმიანობიდან, რომელიც არ არის სახიფათო ადამიანის ჯანმრთელობისათვის და უარყოფითად არ მოქმედებს სწავლების ხარისხზე. მოზიდული სახსრები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოხმარდება მხოლოდ დაწესებულების მიზნების განხორციელებას და ფუნქციების შესრულებას. მნიშვნელოვანია, რომ ამ უფლების რეალიზების მიზნით, საქართველოს მთავრობის ვალდებულებების ნაწილში ასახულია კანონქვემდებარე აქტის გამოცემა, რომელიც უნდა მოიცავდეს მკაფიო ინსტრუქციას სასწავლო პროცესში წარმოებული პროდუქციის რეალიზების, ასევე



დაწესებულების მიერ ეკონომიკური საქმიანობის წარმართვისა და მიღებული შემოსავლების განკარგვის შესახებ. შესაბამის დადგენილებაზე, რომლითაც დარეგულირდება კოლეჯების ეკონომიკური საქმიანობა და მიღებული შემოსავლების განკარგვის საკითხები, მუშაობის დასრულება დაგეგმილია 2020 წელს.

ამოცანა 2.5 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების (სახელმწიფო და კერძო) ერთიანი, საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, მოქნილი ქსელის შექმნა

2019 წელს გაგრძელდა მუშაობა პროფესიულ განათლებაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელის გაფართოების კუთხით. 2019 წელს გაგრძელდა მუშაობა ახალი ლოკაციების განვითარების მიზნით (ახალქალაქი, ბორჯომი, მარნეული, წყალტუბო, ხაშური, ჩოხატაური, გორაბერეჟოული, კასპი, შუახევი). აღსანიშნავია, რომ დასრულების ეტაპზეა სამშენებლო სამუშაოები კასპსა და შუახევში. ასევე, 2019 წელს სტუდენტები პირველად მიიღო ხულოს ფილიალმა. არსებული კოლეჯების გაუმჯობესების მიზნით, 2019 წელს დაიწყო ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები და დასრულდა სსიპ კოლეჯის „მოდუსი“ სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები. საჭიროებების შესაბამისად, ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა რიგ საგანმანათლებლო დაწესებულებებს. მოდულური პროგრამების მინიმალური ტექნიკური აღჭურვილობის სტანდარტების საფუძველზე, პრაქტიკული სწავლების გაუმჯობესებისათვის კოლეჯებმა შეიძინეს მოდულური პროგრამების დანერგვისათვის საჭირო აღჭურვილობა და ხელსაწყოები.

საქართველოს მთავრობასა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შორის არსებული შეთანხმების ფარგლებში 2019 წელს ხელი მოეწერა სასესხო შეთანხმებას „პროფესიული მომზადების პროგრამა I“-ის განხორციელების მიზნით. აღნიშნული პროგრამის მიზანია მშენებლობისა და ლოგისტიკის მიმართულებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, 1200 სტუდენტზე გათვლილი „ექსელენს ცენტრის“ მშენებლობა და აღჭურვა. პროექტის განხორციელება დაგეგმილია 5 წლის განმავლობაში. 2019 წელს მომზადდა სიტუაციური ანალიზი და „ექსელენს ცენტრის“ განვითარების კონცეფცია, რომლის მიხედვითაც ცენტრის ძირითადი დანიშნულება იქნება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული პროგრამების და „ჰაბ სერვისების“ შეთავაზება.

პროფესიული განათლების მიმწოდებელთა ქსელის გაფართოების მიზნით, „სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების ქვეპროგრამის“ ფარგლებში აქტიურად დაიწყო საჯარო სკოლების ადამიანური რესურსისა და ინფრასტრუქტურის გაძლიერება. შედეგად დაგეგმილია მოსწავლეებისათვის ზოგად განათლებასთან ერთად სკოლებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზების მასშტაბის გაზრდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, 2019 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში პირველად განხორციელდა სასერტიფიკატო კურსები X-XII კლასის მოსწავლეებისათვის, რომელშიც ჩაერთო 15 საჯარო სკოლა.

მეორე სტრატეგიული ამოცანის ინდიკატორი

1. პროფესიული განათლებიდან განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებლის ზრდა

სტრატეგიული ამოცანა 3: პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და მიმზიდველობის გაზრდა

სტრატეგიის თანახმად მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების სტატუსისა და იმიჯის გაუმჯობესება. პროფესიული განათლების პოპულარობისა და მიმზიდველობის გასაზრდელად სტრატეგიაში ხაზგასმულია რამდენიმე ძირითადი მიმართულება: პროფესიული სტუდენტების წარმატებით დასაქმების შესახებ ინფორმაციის გავრცელება, ცნობიერების ამაღლების კამპანიების მოწყობა, პროფესიული ორიენტაციის სისტემის გაუმჯობესება, სისტემის მოქნილობისა და გამტარიანობის გაუმჯობესება, პროფესიული განათლების ახალი ბრენდისა და საკომუნიკაციო სტრატეგიის შექმნა, რომლის განხორციელებითაც უზრუნველყოფილი იქნება საზოგადოების ცნობიერების ამაღლება იმ სარგებლიანობის შესახებ, რომელიც პროფესიულ განათლებას შეუძლია მოუტანოს საზოგადოების ნებისმიერ წევრს, განურჩევლად მისი სტატუსისა თუ შესაძლებლობის. მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის შესაძლებლობის შექმნით და პროფესიული ორიენტაციის გამართული სერვისის მიწოდებით უზრუნველყოფილი იქნება ინდივიდის პიროვნული თუ პროფესიული ინტერესების შესაბამისი განვითარება.

ამოცანა 3.1 პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სერვისის განვითარება

პროფესიული განათლების შესახებ ახალი კანონით სამინისტროს ვალდებულებაში განისაზღვრა ფორმალურ განათლებაში პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სისტემის განვითარება. დაგეგმილია ფორმალურ განათლებაში პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სტრატეგიის შემუშავება და დამტკიცება. კანონის მიხედვით სისტემამ უნდა უზრუნველყოს ნებისმიერი პირის დახმარება, რათა მან განათლების მიღების ნებისმიერ ეტაპზე განსაზღვროს საკუთარი შესაძლებლობა, კომპეტენცია და ინტერესი განათლებასთან და პროფესიის არჩევასთან დაკავშირებით. საქართველოსა და ევროკავშირს შორის ხელმოწერილი საფინანსო შეთანხმების „ადამიანური კაპიტალის განვითარების ხელშეწყობა“ ფარგლებში დაიწყო პროგრამის განხორციელება, რომლის ტექნიკური დახმარების კომპონენტი ითვალისწინებს საქართველოს მხარდაჭერას პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის ერთიანი მოდელის ჩამოყალიბების მიმართულებით. ტექნიკური დახმარების პროექტის განხორციელების აქტიური ფაზა 2020 წლიდან დაიწყო.

პროფესიული უნარების განვითარების ქვეპროგრამის საორიენტაციო კურსების ფარგლებში მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ სკოლის ბაზაზე მოსინჯონ საკუთარი ძალები სხვადასხვა პროფესიაში და მიიღონ ინფორმირებული კარიერული გადაწყვეტილება. 2019 წელს გაიზარდა პროგრამის მასშტაბი და მასში ჩართული სკოლების რაოდენობამ გადააჭარბა 700-ს. საგულისხმოა, რომ 2017 წელს პროგრამის ფარგლებში განხორციელდა პროფესიული უნარების განვითარების 200 საორიენტაციო კურსი, 2018 წელს - 348, ხოლო 2019 წელს 590. აღსანიშნავია, რომ უზრუნველყოფილია დაწყებული პროექტების მდგრადობა, რაც გულისხმობს იმას, რომ 2017 და 2018 წელს განხორციელებული პროექტების 90%-ზე მეტი კვლავ განხორციელდა მომდევნო წელსაც. 2019 წელს პროფესიული უნარების განვითარების პროგრამა ETF-ის მიერ დასახელდა ევროპის საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებს შორის.

ამოცანა 3.2 პროფესიული განათლების ახალი ბრენდის შექმნა და საკომუნიკაციო სტრატეგიის განხორციელება

პროფესიული განათლების სისტემაში არსებული საგანმანათლებლო სერვისებისა და შესაძლებლობების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, შეიქმნა პროფესიული განათლების ახალი ბრენდი, რომლის ფარგლებშიც შემუშავებული საკომუნიკაციო სტრატეგიის გათვალისწინებით 2019 წელს, დაიგეგმა და განხორციელდა ცალკეული ღონისძიებები, კერძოდ, პროფესიული განათლების რეფორმის ფარგლებში მიღწეული შედეგების გაზიარებისა და პროფესიული განათლების პოპულარიზაციის მიზნით „პირველი რესპუბლიკის მოედანზე“ ჩატარდა "პროფესიული განათლების ქართულ-გერმანული დღეები". ღონისძიების ორგანიზება სამინისტრომ, გერმანიის საელჩოსთან თანამშრომლობით, GIZ-ისა და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით უზრუნველყო. ღონისძიების ორდღიანი სცენარი ითვალისწინებდა სამთავრობო უწყებების, მათი საქვეუწყებო სააგენტოების, საერთაშორისო ორგანიზაციების, საგანმანათლებლო დაწესებულებების, დარგობრივი ასოციაციებისა და კერძო სექტორის წარმომადგენელთა მონაწილეობით სხვადასხვა თემატურ აქტივობების ორგანიზებას. კერძოდ, სხვადასხვა მასშტაბურ პავილიონებში მოეწყო საგამოფენო სივრცეები პროფესიების, საგანმანათლებლო სერვისებისა და დასაქმების შესაძლებლობის შესახებ. ღია საგამოფენო სივრცის პარალელურად, „რესპუბლიკის“ საკონფერენციო დარბაზში ასევე, განხორციელდა ექსპერტთა მოხსენებებისა და წარმატებული მაგალითების წარდგენა.

საზოგადოებისათვის პროფესიული განათლების სისტემაში ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო სერვისების შესახებ ინფორმაციის გაზიარების მიზნით, ასევე, მოეწყო ისეთი ფართომასშტაბიანი ღონისძიებები, როგორებიცაა "საერთაშორისო განათლების ფესტივალი", "დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი 26 მაისის საყოველთაო ღონისძიება", "საინფორმაციო სემინარი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დირექტორების მონაწილეობით", ევროკავშირის (EU) პროგრამის მეორე ფაზის "განათლება დასაქმებისათვის" წარდგენა და GIZ-ის მიერ ორგანიზებული საინფორმაციო კამპანია (ერთთვიანი) წარმატებული მორაგებების ჩართულობით, რომლის ფარგლებშიც, საქართველოს მასშტაბით არსებულ 10 საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებთან, ასევე, თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლის სტუდენტებთან და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, პროფესიული განათლების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, განხორციელდა ინტენსიური შეხვედრები, ჯამში ჩაერთო 1000-ზე მეტი მონაწილე (მათ შორის 900-მდე სკოლის მოსწავლე).

საშემოდგომო და საგაზაფხულო მიღებებისთვის განხორციელდა პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების მიერ ორგანიზებული საინფორმაციო კამპანიები, სატელევიზიო გადაცემები და სხვა. განხორციელებული აქტივობების საპასუხოდ 2019 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო მიღების ფარგლებში დარეგისტრირდა 16,548 პირი.

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) და USAID-ის პროექტის „მმართველობა განვითარებისთვის საქართველოში“ (G4G) მიერ ორგანიზებული კვლევის (საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის ხარისხის შეფასება

2014-2019 წლებში) შედეგად, სამინისტრომ მიიღო ჯილდო „პროფესიული განათლების შესახებ“ კანონპროექტის მომზადების პროცესში საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის მაღალი ხარისხით წარმართვისთვის. ასევე, პროექტის „რეფორმეტი“ ფარგლებში, რომელიც G4G USAID-ის მხარდაჭერით ხორციელდებოდა ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის მიერ, განხორციელდა პროფესიული განათლების რეფორმის საჯარო შეფასება, შედეგად პროფესიული განათლების რეფორმის წარმატებით განხორციელებისათვის სამინისტროს გადაეცა „რეფორმეტის“ ჯილდო.

მესამე სტრატეგიული ამოცანის ინდიკატორი

საზოგადოების ცნობიერების დონის ზრდა პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებით:

- პროფესიული განათლების მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულების კვლევის (2015 წ) თანახმად, გამოკითხულთა 72% აღნიშნავს, რომ მოსახლეობის დამოკიდებულება პროფესიული განათლების მიმართ იცვლება დადებითად. სასურველია ამ მიმართულებით დამატებითი ახალი კვლევის ჩატარება.
- ევროკავშირის ტექნიკური დახმარების ფარგლებში განხორციელდა პროფესიული განათლების მიმართ დამოკიდებულების კვლევა შემდეგ ქალაქებში: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, გორი, რუსთავი. ინტერვიუ ჩატარდა 1920 რესპოდენტთან (15-24 წლის მოსახლეობა, ვინც არ სწავლობს/სწავლობდა პროფესიულ სასწავლებელში). საველე სამუშაოები განხორციელდა 2017 წლის აგვისტოში. რესპოდენტთა 20% მიიჩნევს რომ პროფესიული განათლების მიმართ დამოკიდებულება არის პოზიტიური, 49% მიიჩნევს რომ დამოკიდებულება არის ნეიტრალური, ხოლო 27 პროცენტს მიაჩნია, რომ დამოკიდებულება არის ნეგატიური, 5%-ს უჭირს პასუხის გაცემა; რესპოდენტთა 40%-ს მიაჩნია რომ პროფესიული განათლება არის მოდური; 75%-ს მიაჩნია, რომ პროფესიული განათლების მიღება არის სასარგებლო.
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ 2018 წელს განხორციელდა ტურიზმის ინდუსტრიაში შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევა. კვლევის ფარგლებში განხორციელდა რესპოდენტთა გამოკითხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დონის და მისდამი ნდობის შეფასების კუთხით. კვლევის შედეგების მიხედვით: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დონე საწარმოთა 30%-ის მიერ შეფასდა დადებითად, 38%-მა შეაფასა საშუალოდ და მხოლოდ 4% აფასებს უარყოფითად; ხოლო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიღებული ცოდნის მიმართ ნდობა გამოხატა საწარმოთა 69%-მა, მათ შორის 23% ენდობა სრულად
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ 2019 წელს განხორციელდა სამშენებლო ინდუსტრიაში შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევა. კვლევის ფარგლებში განხორციელდა რესპოდენტთა გამოკითხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დონის და მისდამი ნდობის შეფასების კუთხით. კვლევის შედეგების მიხედვით: პროფესიული სასწავლებლების დონეს გამოკითხულთა 27% დადებითად, 41% საშუალოდ, 4% უარყოფითად აფასებს. ხოლო, 18% პროფესიულ სასწავლებლებში მიღებული ცოდნას სრულიად ენდობა, 54% მეტწაკლებად, ხოლო 2% არ ენდობა.



რისკები და მათი გადაჭრის გზები

#	აღწერილობა	საპასუხო რეაგირება
1	ახალი კანონის (პროფესიული განათლების შესახებ) ფარგლებში კანონქვემდებარე აქტების მიღების/ამოქმედების შეფერხება	გადაწყვეტილების მიმდებ პირებთან აქტიური კონსულტაციები, დაინტერესებული მხარეების მუდმივი ინფორმირება, საკითხის ლობირება შესაბამის ინსტიტუციებთან
2	ფინანსური რესურსების ნაკლებობა, გამოწვეული ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების შეფერხებით ან საერთაშორისო დახმარების შემცირებით	რესურსების მობილიზება პროფესიული განათლების სახელმწიფო დაფინანსების ეფექტურად დახარჯვის გზით, კერძო სექტორის ჩართვა პროფესიული განათლების სფეროში, დონორების მოძიება
3	პრიორიტეტების შეცვლა ეროვნულ თუ სექტორულ დონეზე	კერძო სექტორის, მასწავლებლებისა და საზოგადოებრივი აზრის მობილიზება სტრატეგიის მხარდასაჭერად. ინფორმაციის გავრცელება ბიუჯეტის, ეკონომიკის და შედეგების შესახებ
4	რეფორმებისადმი რეზისტენტობა გადაწყვეტილების მიმდებთა მხრიდან, განსაკუთრებით დაწესებულებების ადმინისტრაციის დონეზე	პროფესიული განათლების პირდაპირი ბენეფიციარების როლის გაზრდა საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრირების და სტრატეგიის დანერგვის პროცესში
5	რეფორმის განხორციელებასა და კოორდინაციაში ჩართული დაწესებულებების შესაძლებლობები	შესაძლებლობების გაძლიერების ღონისძიებები შესაბამისი რესურსების პირობებში
6	კერძო სექტორის ნაკლები ინტერესი სისტემაში ჩასართავად	კერძო სექტორის ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები; თანამშრომლობის კონკრეტული შეთავაზებები
7	საზოგადოების ნაკლები ინფორმირება და სტერეოტიპები	პროფესიული განათლების ბრენდინგი, საინფორმაციო კამპანია
8	ინოვაციისა და ახალი იდეებისადმი რეზისტენტობა	საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, მაგ, ევროკავშირის პროფესიული განათლების შესახებ, საერთაშორისო კონკურსები და ა.შ

დასკვნა და რეკომენდაციები

ანგარიშში განხილულია განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიის (2017-2020) ფარგლებში 2019 წლის სამოქმედო გეგმის დანერგვის ძირითადი მიმართულებები და მიღწეული შედეგები პროფესიული განათლების მიმართულებით.

სტრატეგიის შესაბამისად, პრიორიტეტებს შორისაა პროფესიული განათლების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა, სისტემის ინტერნაციონალიზაცია, მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის პრინციპზე დაფუძნებული პროფესიული განათლების განვითარება, პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და მიმზიდველობის გაზრდა.

ახალი კანონის დანერგვის პროცესში უკვე განხორციელდა მნიშვნელოვანი სამუშაოები იმ გამოწვევების აღმოსაფხვრელად რაც სისტემაში ახალი კანონის მიღებამდე არსებობდა. 2019 წელს გააქტიურდა რეფორმის ახალი ტალღა, რომლის ფარგლებშიც ჩამოყალიბდა ზრდასრულთა საჭიროებებზე მორგებული მომზადება-გადამზადების სისტემა, განხორციელდა სამუშაოები პროფესიული განათლების ფარგლებში ზოგადი განათლების (საშუალო საფეხური) ინტეგრირების მიმართულებით, რის შედეგადაც ინტეგრირებულ პროგრამებზე სტუდენტთა მიღება დაიწყო 2020 წლიდან. რეფორმის შემდგომ ეტაპზე დაგეგმილია პროფესიული განათლების დაკავშირება უმაღლეს განათლებასთან ე.წ. „მოკლე ციკლის“ პროგრამების ფორმირების გზით და პროფესიული განათლების საფეხურზე მიღებული კრედიტების უმაღლესი განათლების საფეხურზე აღიარების შესაძლებლობის შექმნა. ახალი კანონით გათვალისწინებული ყველა კომპონენტის დანერგვა შესაძლებელს გახდის სრულად იქნას მიღწეული სტრატეგიითა და შესაბამისი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული მიზნები. შედეგების მისაღწევად მნიშვნელოვანია იმპლემენტაციის პროცესშიც გაზიარებული იქნეს საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება. ასევე, უნდა მოხდეს პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების მასშტაბების ზრდა.

სტრატეგიის წარმატებით განხორციელება მხოლოდ ერთი სამინისტროს ან/და დეპარტამენტის პასუხისმგებლობა ვერ იქნება. ამდენად, საჭიროა სააგენტოების, კერძო სექტორის, საგანმანათლებლო დაწესებულებების, საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობა პროფესიული განათლების რეფორმისა და პროფესიული განათლების შესახებ ახალი კანონის დანერგვის პროცესში, რაც განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხრიდან ეფექტური კოორდინირებისა მექანიზმების განვითარებას საჭიროებს. პროფესიული განათლების შესახებ ახალი კანონის დანერგვის პროცესში საკოორდინაციო ღონისძიებების გაძლიერებასთან ერთად უნდა მოხდეს სამინისტროს, შესაბამისი სააგენტოებისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაძლებლობების გაძლიერება.

ეროვნული კვალიფიკაციების ახალი ჩარჩოს დანერგვის პარალელურად უნდა გააქტიურდეს მუშაობა სისტემის ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, განსაკუთრებით კი საერთაშორისო და გაცვლითი პროგრამების დანერგვის მიზნით. ასევე, სტუდენტებში ინგლისური ენის სწავლების გაუმჯობესების მიმართულებით, რაც გაცვლითი პროგრამებისათვის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს.

ახალი სიტემის შესაბამისად მნიშვნელოვანია გაგრძელდეს მუშაობა დაფინანსების დივერსიფიცირებული მოდელის შემუშავებისა და დანერგვის მიმართულებით, რითაც მოხდება დაფინანსების წყაროების გაფართოება, კერძო სექტორის მოტივირება და ახალი ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა. განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს სისტემაში დარგობრივი გაერთიანებების როლის გაზრდაზე, რაც უზრუნველყოფს უნარებსა და შრომის ბაზარს შორის შესაბამისობის გაუმჯობესებას.

მიუხედავად ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული არაერთი აქტივობისა პროფესიული განათლების ხარისხი კვლავ გამოწვევად რჩება. მნიშვნელოვანია გააქტიურდეს სამუშაოები ავტორიზაციის ახალი სტანდარტების ამოქმედების კუთხით, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს დაწესებულებების განვითარებაზე ორიენტაციას და დაწესებულებებს შორის კონკურენციის ამაღლებას. ასევე, როდესაც ვსაუბრობთ, პროფესიული განათლების ხარისხზე, ამ მიმართულებით არსებითია კვალიფიციური და პროფესიონალი მასწავლებლები. შესაბამისად უნდა ამოქმედდეს პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიაში შესვლის, განვითარებისა და კარიერული წინსვლის ახალი სისტემა, რაც არა მარტო არსებული მასწავლებლების შესაძლებლობების განვითარებაზე აისახება დადებითად, არამედ სისტემაში ახალი პრაქტიკოსი კადრების შემოღებისასაც შეუწყობს ხელს.

მნიშვნელოვანია სამომავლოდაც გაგრძელდეს მუშაობა პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობაზე ყველა პირისათვის, მისი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ეროვნების, სქესის, ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობის მიუხედავად, განსაკუთრებით კი მოწყვლადი ჯგუფებისთვის. ამისათვის, სამომავლოდაც აქცენტი უნდა გაკეთდეს ელექტრონული და მობილური კურსების შეთავაზებაზე. მნიშვნელოვანია, რომ მომზადება-გადამზადების პროგრამების ფარგლებში პროფესიული განათლების სისტემაში მოხდეს განათლების მიღმა დარჩენილი პირების ჩართვის უზრუნველყოფა.

პროფესიული განათლება უმაღლეს განათლებასთან შედარებით კვლავ ნაკლებად სასურველ საგანმანათლებლო ალტერნატივად განიხილება საქართველოს მოსახლეობაში. დაინტერესებულ მხარეებს ნაკლები ინფორმაცია აქვთ პროფესიული განათლების სისტემაში მიმდინარე დადებითი სიახლეების შესახებ. ამდენად, მნიშვნელოვანია ახალი საკომუნიკაციო სტრატეგიის ფარგლებში აქტიური და მრავალფეროვანი საკომუნიკაციო აქტივობების დანერგვა. განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის ერთიანი სისტემის განვითარების მიმართულებით.

პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების და თვითდასაქმების მხარდასაჭერად, მნიშვნელოვანი აქცენტი უნდა გაკეთდეს საკვანძო კომპეტენციების განვითარებაზე, მათ შორის სამეწარმეო სწავლების კომპონენტის გაძლიერებაზე.

რეფორმის ეფექტურობის გასაზომად, უნდა გაგრძელდეს მუშაობა კვლევების მიმართულებით. გარდა კურსდამთავრებულთა კვლევისა მნიშვნელოვანია რეგულარულად ტარდებოდეს დაინტერესებული მხარეების დამოკიდებულებების კვლევა.